ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2021 წლის 3 დეკემბერი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/06/2017, ს/კოდი: 010250050.35.140.016257) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 3 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ბესიკი ბერიძე

დანართი

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	რანგი	შტატის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1		**საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები**	**19**	
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	2760
		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	2000
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	1600
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1400
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	1400

		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	8	1000
2		**საკრებულოს აპარატი**	**6**	
	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1	1500
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი	1	1200
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – მთავარი სპეციალისტი კადრებისა და წერილების საკითხებში	1	800
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	800
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი	1	1200
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მთავარი სპეციალისტი კომისიების და ფრაქციების ამომრჩეველთან შეხვედრების ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხეხში	1	800